

# დამატებითი სიმრავლურ-თეორიული აქსიომების ზოგიერთი გამოყენება ზომის თეორიაში

## ანოტაცია

ინტენსიურმა კვლევებმა მათემატიკურ ანალიზში, ფუნქციათა თეორიასა და ზომის თეორიაში საფუძველი ჩაუყარა სხვადასხვა პარადოქსალური წერტილოვანი სიმრავლეების კვლევას. მათ შორის მნიშვნელოვანი როლი უკავია ვიტალის სიმრავლეებს, ბერნშტეინის სიმრავლეებს, ჰამელის ბაზისს, ლუზინის სიმრავლეებსა და სერპინსკის სიმრავლეებს. შესწავლილია მათი დესკრიფციული სტრუქტურა და დადგენილია მათ შორის კავშირები.

ჩვენს მიერ განხილულია ზემოთ ჩამოთვლილი სიმრავლეები ზომის თეორიის თვალსაზრისით და ნაჩვენებია, რომ არსებობს  $R$ -ზე ინვარიანტული ზომა  $\mu$  ისეთი, რომ იგი წარმოადგენს ლებეგის ზომის გაგრძელებას და  $\mu$  ზომის მიმართ სერპინსკის ყველა სიმრავლე ხდება ზომადი.